

**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**2010 წლის განკარგულებები**

Expert PDF Trial

# საძიებელი

N	განკარგულების სარეგისტრაციო ნომერი	განკარგულების მიღების თარიღი	განკარგულების სათაური	გვერდი
1.	N142	15.01.2010	ანაკლის სატვირთო-სატრანსპორტო კვანძის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ	5
2.	N143	15.01.2010	„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 10 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ	9
3.	N144	15.01.2010	„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის N50 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ	11
4.	N145	15.01.2010	„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის N52 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ	13
5.	N146	15.01.2010	„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 23 აგვისტოს N54 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ	15
6.	N147	15.01.2010	„შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის N88 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ	17
7.	N148	29.01.2010	ანაკლის სატვირთო-სატრანსპორტო კვანძის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ	18
8.	N149	25.02.2010	საკრებულოს წევრის - კახა მიქაბერიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ	25
9.	N150	25.02.2010	„იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 13 ნოემბრის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	26
10.	N151	25.02.2010	„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარეგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N78 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	27
11.	N152	25.02.2010	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ	28
12.	N153	16.03.2010	„სოფელ ხეთის ტერიტორიაზე მოქცეული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო გეგმის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ	31
13.	N154	30.03.2010	ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიების ჩატარების ღონისძიებების შესახებ	32
14.	N155	26.04.2010	ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ	33
15.	N156	28.05.2010	„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 10 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	35
16.	N1	18.06.2010 წ.	დროებითი სამანდატო კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ	37
17.	N2	18.06.2010 წ.	ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ	38
18.	N3	18.06.2010 წ.	მამუკა ჭოხონელიძის ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევის შესახებ	39
19.	N4	18.06.2010 წ.	ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეგისტრაციის შესახებ	41
20.	N5	18.06.2010 წ.	კახა ბუკიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ	42

21.	N6	18.06.2010 წ.	მურმან ბუკიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ	43
22.	N7	18.06.2010 წ.	მერაბ სილოგავას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ	44
23.	N8	18.06.2010 წ.	ბორის ჯიქიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ	45
24.	N9	18.06.2010 წ.	დალი გერგაიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა (ჯანდაცვა, კულტურა, განათლება, სპორტი) კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ	46
25.	N10	18.06.2010 წ.	გოჩა ქაჯაიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა, მომსახურება, ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვა) კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ	47
26.	N11	25.06.2010 წ.	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ	48
27.	N12	25.06.2010 წ.	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ	49
28.	N13	25.06.2010 წ.	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ	50
29.	N14	25.06.2010 წ.	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა (ჯანდაცვა, კულტურა, განათლება, სპორტი) კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ	51
30.	N15	25.06.2010 წ.	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა, მომსახურება, ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვა) კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ	52
31.	N16	25.06.2010 წ.	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე იგორ ტყეშუაშვილს დანიშნაზე თანხმობის მიცემის შესახებ	53
32.	N17	12.07.2010 წ.	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ	54
33.	N18	12.07.2010 წ.	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისგან სესხის აღებასა და შიდა გზების რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულების მიზნით საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ	56
34.	N19	12.07.2010 წ.	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცებაზე თანხმობის მიცემის შესახებ	56
35.	N20	12.07.2010 წ.	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ	58
36.	N21	27.08.2010	საკრებულოს წევრის _ იური ბუკიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ	58
37.	N22	27.08.2010	„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 ივნისის N 11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	60
38.	N23	27.08.2010	„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 10 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ	61
39.	N24	27.08.2010	„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის N50 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ	66
40.	N25	27.08.2010	„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის N52 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ	70
41.	N26	27.08.2010	„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 23 აგვისტოს N54 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ	75
42.	N27	27.08.2010	„შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის N88 განკარგულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე	79
43.	N28	27.08.2010	შპს `ხობი დასუფთავება და განათება`-ს დირექტორის დანიშნაზე უფლებამოსილი პირის შესახებ	80

44.	N29	27.08.2010	ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ	81
45.	N30	27.08.2010	„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის `ხოზის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმწარდლო გაერთიანების` დირექტორის დანიშვნის შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2008 წლის 27 თებერვლის N9 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ	82
46.	N31	27.08.2010	ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლის ზოგიერთი ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ	83
47.	N32	27.08.2010	ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლის ზოგიერთი ბრძანების არარა აქტად გამოცხადების შესახებ	84
48.	N33	27.08.2010	2010 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ	85
49.	N34	08.09.2010	ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ	86
50.	N35	08.09.2010	„შპს „ხოზის მოამბეს“ დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 17 მაისის N39 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე	88
51.	N36	08.09.2010	შპს `ხოზის მოამბეს` ადმინისტრაციის დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის შესახებ	90
52.	N37	01.10.2010	ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის იური ბუკიას ადგილმონაცვლის ლაშა ცატავას უფლებამოსილების ცნობის შესახებ	92
53.	N38	01.10.2010	ფრაქცია „ხოზი-დემოკრატების“ რეგისტრაციის შესახებ	93
54.	N39	01.10.2010	„ხოზის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს N33 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე	94
55.	N40	01.10.2010	ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ	140
56.	N41	01.10.2010	„შპს „ხოზი დასუფთავება და განათება“-ს დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის N88 განკარგულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ	141
57.	N42	01.10.2010	`ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ` ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის წლის 25 ივნისის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	144
58.	N43	01.10.2010	„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა, მომსახურება, ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვა) კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის წლის 25 ივნისის N15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	145
59.	N44	01.10.2010	ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლის ზოგიერთი ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ	146
60.	N45	22.11.2010	„ხოზის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს N33 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე	147
61.	N46	20.12.2010	ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ	186
62.	N47	20.12.2010	„ხოზის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს N 33 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე	189
63.	N48	20.12.2010	„ქ.ხოზის ტერიტორიაზე არსებული მრავალწლიანი ნარგავების მდგომარეობის შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2010 წლის 29 იანვრის N39 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე	228
64.	N49	31.12.2010	„ხოზის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს N 33 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე	229
65.	N50	31.12.2010	ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბექდების, სატიტულო ფურცლების და სამართლებრივი აქტების ბლანკის ნიმუშების დამტკიცების თაობაზე	266

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო**  
**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

---

**განკარგულება №142**

**ქ. ხობი**

**2010 წლის 15 იანვარი**

**ანაკლიის სატვირთო-სატრანსპორტო კვანძის განაშენიანების რეგულირების გეგმის  
გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 ივლისის №1-1/1254 ბრძანების შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ანაკლიის სატვირთო-სატრანსპორტო კვანძის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება თანახმად დანართისა.
2. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას აღნიშნულზე აცნობოს შპს „ანაკლია-პორტი“-ს გენერალურ დირექტორს.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ხობი ცოტნე დადიანის ქ. №192).

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

შეთანხმებულია:  
საქართველოს ეკონომიკური  
განვითარების მინისტრის მოადგილე

გ. კარბელაშვილი  
2009 წ. 11 მთვ.



შეთანხმებულია:  
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის  
მერი  
ა. ქობალია  
2009 წ. 11 მთვ.



საბურთალოს მუნიციპალიტეტის  
მერი  
ი. ტყეშელაშვილი  
2009 წ. 11 მთვ.



ანაკლიის სატვირთო-სატრანსპორტო კვანძი

განაშენიანების რეგულირების გეგმა

გეგმარებითი დაჯგუფება

რიგითი №	ძირითადი მონაცემების და მოთხოვნების ჩამონათვალი	ძირითადი მონაცემები და მოთხოვნები
1	2	3
1	გეგმის დამუშავების საფუძვლები	<p>ა) საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 20 ოქტომბრის №732 განკარგულება - ზუგდიდისა და ხობის მუნიციპალიტეტებში საერთო სატვირთო-სატრანსპორტო კვანძის მშენებლობის შესახებ;</p> <p>ბ) ანაკლიის სატვირთო-სატრანსპორტო კვანძის მშენებლობის საპროექტო მოსაზრება - დამუშავებული შპს "მშენპროექტის" მიერ.</p>
2	კვანძის შემადგენლობა და სიმძლავრეები	<p>ა) საზღვაო ნავსადგური - ყოველწლიური ტვირთბრუნვა - (100-120) მლნ. ტ;</p> <p>ბ) გათხევადებული გაზის ქარხანა - წარმადობა წელიწადში - 20 მლრდ. მ<sup>3</sup> ბუნებრივი გაზი (35 მლნ. მ<sup>3</sup> გათხევადებული გაზი - 16 მლნ. ტ);</p>

1	2	3
		<p>გ) სატვირთო აეროპორტი – ყოველწლიური ტვირთბრუნვა – 0.5 მლნ. ტ;</p> <p>დ) მისასვლელი რკინიგზები, მისასვლელი ავტოგზები, სარკინიგზო და საავტომობილო გადაზიდვების ინფრასტრუქტურა – საზღვაო ნავსადგურისა და სატვირთო აეროპორტის ტვირთბრუნვების შესაბამისად;</p> <p>ე) ენერგეტიკული უზრუნველყოფისა და საინჟინრო მომსახურების ობიექტები – გაანგარიშების შესაბამისად;</p> <p>ვ) ახალი დასახლება – (20-25) ათას მაცხოვრებელზე.</p>
3	ქალაქმშენებლობის საფუძვლები	“სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.
4	ტერიტორიების კლიმატური, საზღვაო მორფოდინამიკური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობები.	საქართველოში არსებული კვლევა-ძიების მასალების საფუძველზე.
5	გემების შექმნის უზრუნველყოფა და გაფორმება	საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 2008 წლის 8 ივლისის №1-1/1254 ბრძანებით დამტკიცებული “დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების” მოთხოვნების მიხედვით.
6	განსაკუთრებული პირობები	<p>ა) მშენებლობის ტერიტორიების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება;</p> <p>ბ) შენობა-ნაგებობების (ობიექტების) უნიკალურობის გათვალისწინება;</p>

1	2	3
		<p>გ) მაღალი სეისმურობის გათვალისწინება;</p> <p>დ) გარემოზე ზემოქმედების მაქსიმალური შერბილება.</p>

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა :

შპს "ანაკლია-პორტი"  
 გენერალური დირექტორი  
 ს. კრაგია  
 2009 წ.





**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო**  
**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

**განკარგულება N143**

**ქ. ხოზი**

**2010 წლის 15 იანვარი**

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხოზის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საადმზრდელი გაერთიანების“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 10 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად:

1. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხოზის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საადმზრდელი გაერთიანების“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 10 ივლისის N49 განკარგულების დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) წესდების პირველი მუხლის 1.3<sup>1</sup>. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.3<sup>1</sup>. ცენტრის მართვას ახორციელებს ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობა, გამგეობის შესაბამისი სამსახურების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.“;

ბ) წესდების მე-5 მუხლის 5.1.1. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.1.1. დირექტორის მოადგილეს, ფინანსურ მენეჯერს და ბუღალტერს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გაერთიანების დირექტორი.“;

გ) წესდების მე-5 მუხლის 5.1.2. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.1.2. გაერთიანების დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი დამფუძნებელთან შეთანხმებით.“;

დ) წესდების მე-5 მუხლის 5.3. პუნქტის „გ“, „დ“, „კ“ „ლ“ ქვეპუნქტები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) გაერთიანებაში შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის მიხედვით განსაზღვრავს და ამტკიცებს ცენტრის საშტატო განრიგს და ხელფასის ფონდს;

დ) ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს და თანამშრომლებს;“;

„კ) დამფუძნებელსა და გამგებელს წარუდგენს ანგარიშს საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ყოველკვარტალურად;

ლ) ანგარიშვალდებულია დამფუძნებლისა და გამგებლის წინაშე;“;

ე) წესდების მე-7 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. გაერთიანების ქონება

გაერთიანებას უფლებამოსილების განხორციელების მიზნით სარგებლობის უფლებით შეიძლება გადაეცეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონება.“;

ვ) წესდების მე-8 მუხლის 8.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8.1. გაერთიანება ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და წარუდგინოს გამგეობას მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით.“;

ზ) წესდების მე-9 მუხლის 9.2. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9.2. გაერთიანების სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო.“.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ხობი ცოტნე დადიანის ქ. N192).

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო**  
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება N144**

**ქ. ხობი**

**2010 წლის 15 იანვარი**

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის N50 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად:

1. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის N50 განკარგულების დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) წესდების პირველი მუხლის 1.3<sup>1</sup>. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.3<sup>1</sup>. ცენტრის მართვას ახორციელებს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, გამგეობის შესაბამისი სამსახურების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.“;

ბ) წესდების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.2. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს და თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ცენტრის დირექტორი.“;

გ) წესდების მე-7 მუხლის 7.1. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7.1. ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი დამფუძნებელთან შეთანხმებით.“;

დ) წესდების მე-7 მუხლის 7.3. პუნქტის „გ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ცენტრში შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის მიხედვით განსაზღვრავს და ამტკიცებს ცენტრის საშტატო განრიგს და ხელფასის ფონდს“;

„თ) დამფუძნებელს და გამგებელს წარუდგენს ანგარიშს საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ყოველკვარტალურად;

ი) ანგარიშვალდებულია დამფუძნებლისა და გამგებლის წინაშე“;

ე) წესდების მე-9 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. ცენტრის ქონება

ცენტრს სარგებლობის უფლებით შეიძლება გადაეცეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონება უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.“;

ვ) წესდების მე-10 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. ცენტრის საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება

ცენტრი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და წარუდგინოს გამგეობას ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით.“;

ზ) წესდების მე-11 მუხლის 11.2. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11.2. ცენტრის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო.“.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ხობი ცოტნე დადიანის ქ. N192).

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო**  
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

**განკარგულება N145**

**ქ. ხობი**

**2010 წლის 15 იანვარი**

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის N52 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის N50 განკარგულების დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) წესდების პირველი მუხლის 1.3<sup>1</sup>. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.3<sup>1</sup>. ცენტრის მართვას ახორციელებს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, გამგეობის შესაბამისი სამსახურების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.“;

ბ) წესდების მე-5 მუხლის 5.2. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.2. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს და თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცენტრის დირექტორი.“;

გ) წესდების მე-6 მუხლის 6.3. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.3. დირექტორის მოადგილეს და ფინანსურ მენეჯერს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცენტრის დირექტორი.“;

დ) წესდების მე-7 მუხლის 7.1. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7.1. ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი დამფუძნებელთან შეთანხმებით.“;

ე) წესდების მე-7 მუხლის 7.3. პუნქტის „გ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ცენტრში შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის მიხედვით განსაზღვრავს და ამტკიცებს ცენტრის საშტატო განრიგს და სახელფასო ფონდს;“;

„თ) დამფუძნებელს და გამგებელს წარუდგენს ანგარიშს საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ყოველკვარტალურად;

ი) ანგარიშვალდებულია დამფუძნებლისა და გამგებლის წინაშე;“;

ვ) წესდების მე-9 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. ცენტრის ქონება

ცენტრს უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით შეიძლება გადაეცეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონება.“;

ზ) წესდების მე-10 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. ცენტრის საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება

ცენტრი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და წარუდგინოს გამგეობას ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით.“;

თ) წესდების მე-11 მუხლის 11. 2. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11.2. ცენტრის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო.“.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ხობი ცოტნე დადიანის ქ. N192).

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო**  
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება N146**

**ქ. ხობი**

**2010 წლის 15 იანვარი**

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“  
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 23 აგვისტოს N54 განკარგულებაში  
ცვლილებების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად:

1. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 23 აგვისტოს N54 განკარგულების დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) წესდების პირველი მუხლის 1.4. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.4. ცენტრის მართვას ახორციელებს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, გამგეობის შესაბამისი სამსახურის მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.“;

ბ) წესდების მე-5 მუხლის 5.2. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.2. დირექტორის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცენტრის დირექტორი.“;

გ) წესდების მე-6 მუხლის 6.1. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.1. ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი, დამფუძნებელთან შეთანხმებით.“;

დ) წესდების მე-6 მუხლის 6.3. პუნქტის „ბ“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით განსაზღვრავს და ამტკიცებს ცენტრის საშტატო განრიგს და ხელფასის ფონდს.“;

„ზ) დამფუძნებელს და გამგებელს წარუდგენს ანგარიშს საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ყოველკვარტალურად;

თ) ანგარიშვალდებულია დამფუძნებლისა და გამგებლის წინაშე;“;

ე) წესდების მე-9 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. ცენტრის საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება

ცენტრი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და წარუდგინოს გამგეობას ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით.“;

ვ) წესდების მე-10 მუხლის 10.2. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10.2. ცენტრის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო.“.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ხობი ცოტნე დადიანის ქ. N192).

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო**  
**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

**განკარგულება N147**

**ქ. ხობი**

**2010 წლის 15 იანვარი**

„შპს „ხოზი დასუფთავება და განათებას“ დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“  
ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის N88 განკარგულებაში  
ცვლილების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

1. „შპს „ხოზი დასუფთავება და განათებას“ დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის N88 განკარგულების დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) წესდების მეორე მუხლის 2.3. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„2.3. საწესდებო კაპიტალის 100% ეკუთვნის ხოზის მუნიციპალიტეტს.“.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოზის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ხობი ცოტნე დადიანის ქ. N192).

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო**  
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

**განკარგულება N148**

**ქ. ხობი**

**2010 წლის 29 იანვარი**

**ანაკლის სატვირთო-სატრანსპორტო კვანძის განაშენიანების რეგულირების გეგმის  
დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 ივლისის №1-1/1254 ბრძანების შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ანაკლის სატვირთო-სატრანსპორტო კვანძის განაშენიანების რეგულირების გეგმა თანახმად დანართისა.
2. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას აღნიშნულზე აცნობოს შპს „ანაკლია-პორტი“-ს გენერალურ დირექტორს.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ხობი ცოტნე დადიანის ქ. №192).

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი,  
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

რ. წულაია

## 1. განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების ნორმატიული საფუძვლები

ანაკლის სატვირთო-სატრანსპორტო კვანძისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის შემადგენლობა, მისი ნაწილების თანმიმდევრობა და მოცულობა დამუშავებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 ივლისის №1-1/1254 ბრძანებით დამტკიცებული “დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების” მუხლი 21 პ.პ. 1-8-ს მოთხოვნების შესაბამისად.

## 2. განაშენიანების რეგულირების გეგმის შემადგენლობა

### ა. ზონირების ნაწილი

1. მიწათსარგებლობის კონკრეტული უფლებრივი ზონირება (იხ. ფ. 1 ინგ.№144/2009) – დამუშავებულია ანაკლის სატვირთო-სატრანსპორტო კვანძის შემადგენლობაში შემავალი ყველა ობიექტებისათვის და ნაგავსაყრელისათვის. მოქცეულია მდ. ხობისწყალსა და მდ. ენგურს შორის და მინიჭებული აქვს კონკრეტული ფუნქციური ზონის – სამრეწველო ზონა 1 (ს-1)-ის სახელი;

2. კონკრეტული ფუნქციური ზონის – სამრეწველო ზონა 1 (ს-1)-ის ქვეზონებად დაყოფის სქემა (იხ. ფ. 2 ინგ.№144/2009).

3. სამრეწველო ქვეზონების 1-1, 1-2, 2-1, 2-2 – საზღვაო ნავსადგურის (ს-1-1), გათხევადებული გაზის ქარხნის (ს-1-2), ნაგავსაყრელის (ს-2-2) და გამწმენდი ნაგებობების (ს-2-1) განაშენიანების რეგულირების გეგმა რეგულირების წითელი და ლურჯი ხაზების დატანით და მიწის ნაკვეთზე შენობათა განთავსების სქემებით (იხ. ფ. 3 ინგ.№144/2009);

4. სამრეწველო ქვეზონა 1-3 – სატვირთო აეროპორტის (ს-1-3) განაშენიანების რეგულირების გეგმა განაშენიანების წითელი და ლურჯი ხაზების დატანით და მიწის ნაკვეთებზე შენობათა განთავსების სქემებით (იხ. ფ. 4 ინგ.№144/2009);

5. სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2) – მისასვლელი რკინიგზების, მისასვლელი ავტოგზების განაშენიანების რეგულირების გეგმა განაშენიანების წითელი და ლურჯი ხაზების დატანით, მიწის ნაკვეთზე რკინიგზების და ავტოგზების ღერძების და საჭირო შენობების განთავსების სქემებით. ამავე ნახაზზე დატანილია კვანძის სასმელ-სამეურნეო და ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების, სანიაღვრე და საყოფაცხოვრებო-სამეურნეო კანალიზაციის, ელექტრო მომარაგების (მაღალი ძაბვა) და გაზომომარაგების ქსელები. გაერთიანებულია საინჟინრო ნაწილთან (იხ. ფ. 5, 6, 7, ინგ.№144/2009);

6. საცხოვრებელი ზონა 6 – კვანძის შემადგენლობაში შემავალი ახალი დასახლების (სზ-6) განაშენიანების რეგულირების გეგმა, რეგულირების წითელი და ლურჯი ხაზების დატანით, საცხოვრებელი, სარეკრიაციო, საზოგადოებრივ-საქმიანი და სატრანსპორტო ზონების გამოყოფით, მიწის ნაკვეთზე შენობების განთავსების სქემებით (იხ. ფ. 8 ინგ.№144/2009).

### ბ. საინჟინრო ნაწილი

1. ანაკლის სატვირთო-სატრანსპორტო კვანძის სპეციფიკიდან გამომდინარე მისასვლელი რკინიგზების, მისასვლელი ავტოგზების, სასმელ-სამეურნეო და ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების, სანიაღვრე და საყოფაცხოვრებო-სამეურნეო კანალიზაციის, ელექტრო მომარაგების (მაღალი ძაბვა) და გაზომომარაგების გარექსელების საინჟინრო ნაწილი გაერთიანებულია განაშენიანების რეგულირების გეგმებთან (იხ. ფ. 5, 6, 7 ინგ.№144/2009).

2. საცხოვრებელი ზონა 6 – ახალი დასახლების (სზ-6)-ის განაშენიანების გეგმის საინჟინრო ნაწილი სასმელ-სამეურნეო და ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების, სანიაღვრე და საყოფაცხოვრებო-სამეურნეო კანალიზაციის, ელმომარაგების საჭაერო და საკაბელო და გაზომომარაგების ქსელების დატანით (იხ. ფ. 9 ინვ.№144/2009)

#### გ. ტექსტური ნაწილი

1. განაშენიანების რეგულირების გეგმის აღწერა;
2. განაშენიანების რეგულირების გეგმის განმარტებითი ბარათი;
3. განაშენიანების რეგულირების გეგმის ეფექტურობის (ხეირიანობის) შეფასება;
4. განაშენიანების რეგულირების გეგმის განხორციელების ეტაპები და რიგითობა.

#### დ. დანართები

1. გეგმარებითი დავალება;
2. განაშენიანების დავალების დამუშავებისათვის საჭირო წინასაპროექტო კვლევა.

### 3. განაშენიანების რეგულირების გეგმის განმარტებითი ბარათი

#### 3.1 საერთო ნაწილი

ანაკლის სატვირთო-სატრანსპორტო კვანძი, რომლის შემადგენლობაში გათვალისწინებულია ახალი საზღვაო ნავსადგურის, გათხევადებული გაზის ქარხნის, სატვირთო აეროპორტის, მისასვლელი რკინიგზების, მისასვლელი ავტოგზების, სარკინიგზო და საავტომობილო გადაზიდვების ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკული უზრუნველყოფისა და საინჟინრო მომსახურების ობიექტების, ახალი დასახლების მშენებლობა, წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის მდგრადი სოციალ-ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკური სტაბილურობის უმნიშვნელოვანეს პროექტს.

კვანძის დანიშნულებაა დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით და პირიქით, ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით და პირიქით ტვირთების უსაფრთხო და სწრაფი გადაადგილების უზრუნველყოფა და მომსახურება.

კვანძის ფუნქციონირება განხილულ უნდა იქნას დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის დამაკავშირებელ დღეს მსოფლიოში არსებულ სხვა მარშრუტებთან, ასევე საქართველოში უკვე განხორციელებულ (ბაქო-სუფსის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი) და მომავალში განსახორციელებელ (აზიის და ევროპის დამაკავშირებელი რკინიგზა, “ნაბუკოს” გაზსადენი და სხვა) საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტებთან ერთად ერთიან კონტექსტში.

კვანძის სრულფასოვანი ფუნქციონირება დაკავშირებულია საქართველოში დღეს მშენებარე ავტომაგისტრალის მშენებლობის დამთავრებასთან და მთლიანად კავკასიაში რკინიგზების და სარკინიგზო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასთან. ამასთან მიზანშეწონილია ავტომაგისტრალის მშენებლობის გაგრძელება ქ. ბაქომდე.

კვანძის წლიური ტვირთბუნვა განსაზღვრულია 100-120 მლნ. ტონით წელიწადში. კვანძი მოემსახურება, როგორც მშრალი, ასევე თხევადი (ნავთობი, ნავთობპროდუქტები, სასმელი წყალი და გათხევადებული გაზი) ტვირთების გადაზიდვებს. ტვირთების გადაადგილება უზრუნველყოფილი იქნება საზღვაო, საავტომობილო, საჰაერო ტრანსპორტით და მილსადენებით.

კვანძის მშენებლობის საერთო ღირებულება დაახლოებით 6 მლრდ. აშშ დოლარია. მშენებლობის საერთო ხანგრძლივობა 6 წელია. მშენებლობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების საერთო ფართობი დაახლოებით 3000 ჰექტარია. უშუალოდ მშენებლობის განხორციელებას დასჭირდება 18-20 ათასი ადამიანი.

საზღვაო მორფოდინამიკის, ჰიდროლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური, კლიმატური პირობებისა და შედარებით თავისუფალი ტერიტორიების არსებობის გათვალისწინებით ასეთი მასშტაბური პროექტის განხორციელება საქართველოს შავი ზღვისპირეთში შესაძლებელია მდ. ხობისწყალსა და მდ. ენგურს შორის არსებულ ზონაში.

#### 3.2. კვანძის მშენებლობის საფუძვლები

ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის პროცესის დაჩქარება უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისთვის. დღეს ქვეყანას თავისი სატრანსპორტო-სატრანზიტო არეალის გაფართოება, ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყნებთან დაკავშირება მძაფრი კონკურენციის პირობებში უწევს. ამიტომ, დამატებითი ძლიერი სატრანსპორტო ლოგისტიკური ცენტრის (კვანძის) შექმნა აუცილებელ ღონისძიებას წარმოადგენს.

კვანძის პროექტი მთლიანად უცხოური ინვესტიციებით განხორციელდება.

პროექტის განხორციელების ძირითად საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერა ამ პროექტისადმი და განსაკუთრებით საქართველოს

პრეზიდენტის 2009 წლის 20 ოქტომბრის №732 განმკარგულება “ზუგდიდისა და ხობის მუნიციპალიტეტებში საერთო სატვირთო-სატრანსპორტო კვანძის მშენებლობის შესახებ”.

### 3.3. დაგეგმარების საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა

განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების საკანონმდებლო-ნორმა-ტიულ ბაზას წარმოადგენს:

- საქართველოს კანონი “სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ”;
- საქართველოს კანონი “საქართველოს ზღვის, წყალსაცავებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ”;
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 ივლისის №1-1/1254 ბრძანებით დამტკიცებული “დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები”;
- სივრცით მოწყობასა და ქალაქმშენებლობასთან დაკავშირებული სხვა საკანონმდებლო-ნორმატიული აქტები

### 3.4. ანაკლიის სატვირთო-სატრანსპორტო კვანძის ტერიტორიების დაგეგმარების მიზანი

დაგეგმარების მიზანია შეიქმნას ისეთი გეგმარებითი სტრუქტურა (სისტემა), რომელიც უზრუნველყოფს ტორიტორიების რესურსების მაქსიმალურად ეფექტურ გამოყენებას, მისი ელემენტების ოპტიმალურ და მოხერხებულ ფუნქციონირებას, უზრუნველყოფს ბუნებრივ გარემოზე მინიმალურ ზემოქმედებას და დააკმაყოფილებს საერთაშორისო და სამამულო საკანონმდებლო-ნორმატიულ და ტექნიკურ მოთხოვნებს.

განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების პროცესში იყო დაყენებული და გადაწყვეტილი შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- გამოვლინდა ტერიტორიის გამოყენების ძირითადი ფორმები და შესაბამისი ფუნქციური ზონები;
- შერჩეულ იქნა ტერიტორიის ფუნქციური ზონირების სქემა;
- დადგინდა ტერიტორიის საკომუნიკაციო ბადე და განაშენიანების ტორიტორიული მოდულის პარამეტრები;
- დადგინდა სატრანსპორტო ზონის ელემენტების დისლოკაცია, შესასვლელები, გზების გაბარიტები და პროფილები;
- დადგინდა ძირითადი საინჟინრო ქსელების ტიპები, გაბარიტები და სიმპლავრები;
- დაზუსტდა სანაპირო ზოლის დაცვის პარამეტრები და მოხდა მისი და განაშენიანების გეგმარებითი სტრუქტურის ჰარმონიზაცია;
- განისზღვრა განაშენიანების რეგულირების ხაზები და სახანძრო უსაფრთხოების დაშორებების მაჩვენებლები სამეზობლო მიჯნაზე;
- მოხდა მიღებული სქემების ექსპერტული შეფასება და შემოწმება დაინტერესებულ მხარეებთან, მომიჯნავე დარგების სპეციალისტებთან, დამკვეთის წარმომადგენლებთან;
- შესრულდა გრგ-ს პროექტის სრული პაკეტი თანამედროვე გეოინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

კვანძის ძირითადი გეგმარებითი სტრუქტურა წარმოადგენს ცალკეული კონკრეტული ფუნქციური ზონების (ქვეზონების) მშენებლობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების (წითელ ხაზებში) ერთობლიობას. მიწის ნაკვეთების ძირითადი მოდული ინდივიდუალურია და მოცემულია ჭ მ-84 სისტემის თ 38 პროექციის კოორ-დინატებში.

მიწის ნაკვეთების გამოყენების ძირითადი დანიშნულებაა სამრეწველო, სასაწყობო, სატრანსპორტო, საინჟინრო და საცხოვრებელი.

კვანძის ტერიტორიაზე გამოყოფილია:

- სამრეწველო ქვეზონა 1-1 (ს-1-1) – საზღვაო ნავსადგური;
- სამრეწველო ქვეზონა 1-2 (ს-1-2) – გათხევადებული გაზის ქარხანა;
- სამრეწველო ქვეზონა 1-3 (ს-1-3) – სატვირთო აეროპორტი;
- სამრეწველო ქვეზონა 2-1 (ს-2-1) – გამწმენდი ნაგებობები;

- სამრეწველო ქვეზონა 2-2 (ს-2-2) – ნაგავსაყრელი;
- სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2) – მისასვლელი რკინიგზები, მისასვლელი ავტოგზები, სარკინიგზო და საავტომობილო გადაზიდვების ინფრასტრუქტურა. ამ ზონაში არის ასევე განთავსებული კვანძის სასმელ-სამეურნეო წყალმო-მარაგების, სანიაღვრე და საყოფაცხოვრებო-სამეურნეო კანალიზაციის, ელექტრომომარაგების (მაღალი ძაბვა) და გაზომომარაგების ქსელები.

- საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) – ახალი დასახლება.

მიწის ნაკვეთებზე შენობა-ნაგებობები ძირითადად განთავსებულია ლურჯი ხაზების (შემოღობვის კონტურები) მიღმა.

შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლე განსაზღვრულია “დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების” მუხლი 27-ის მოთხოვნების შესაბამისად.

სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებები გათვალისწინებულია საქართველოში მოქმედი ნორმების მოთხოვნების შესაბამისად.

### 3.4. განაშენიანების რეგულირების გეგმის ეფექტურობის (ხეირიანობის) შეფასება

ანაკლიის სატვირთო-სატრანსპორტო კვანძის განაშენიანების რეგულირების გეგმის ეფექტურობა დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, როგორცაა:

- ფუნქციური ზონების სწორად შერჩევა;
- ამ ზონების დისლოკაციის (ადგილმდებარეობის) დადგენა;
- ზონების გეგმარებითი სტრუქტურის გამოვლენა;
- ზონებს შორის ფუნქციური კავშირების ოპტიმიზაცია და სხვა.

ამ თვალსაზრისით კვანძის ტერიტორიების წარმოდგენილი დაგეგმარება მთლიანად პასუხობს ჩამოთვლილ მოთხოვნებს. მიღებული გეგმარებითი სტრუქტურის დადებით მხარედ შეიძლება მიჩნეულ იქნას შემდეგი:

- ხელსაყრელია იმ სამრეწველო ზონების ტერიტორიების ურთიერთგანლაგება, რომლებიც ფუნქციურად ერთმანეთთან ურთიერთ დაკავშირებულია (გათხევადებული გაზის ქარხანა და საზღვაო ნავსადგური და სხვა);

- მისასვლელი რკინიგზებისა და მისასვლელი ავტოგზების სწორად დაგეგმარება. როგორც რკინიგზები, ასევე ავტოგზები დამატებითი მანევრების გარეშე შედის საზღვაო ნავსადგურისა და სატვირთო აეროპორტის ტერიტორიაზე;

- ოპტიმალურია სამშენებლო ნაკვეთებისა და შიდა გზებისათვის გამოყენებული ტერიტორიების შეფარდება და ის შეადგენს 20% ხ 80%. ასეთი შეფარდება უზრუნველყოფს ტერიტორიების მაქსიმალურ ათვისებას და, ამავე დროს, მათ შორის თავისუფალი, შეუფერხებელი მოძრაობის შესაძლებლობას;

- ტერიტორიების შერჩეული მოდულები მომავალში გაფართოების შესაძლებლობას იძლევა (განსაკუთრებით სამრეწველო ზონების);

ყოველივე ზემოთ აღნიშნული საფუძველს გვაძლევს შევავსოთ ანაკლიის სატვირთო-სატრანსპორტო კვანძის განაშენიანების რეგულირების გეგმა, როგორც უაღრესად ეფექტური და იმ ამოცანების შესაბამისი, რომელიც იყო დასმული ამ პროექტის გეგმარებით დავალებაში.

### 3.5. განაშენიანების რეგულირების გეგმის განხორციელების ეტაპები და რიგითობა

ანაკლიის სატვირთო-სატრანსპორტო კვანძის განხორციელების ძირითადი ეტაპები და რიგითობა შემდეგია:

I ეტაპი – მოსამზადებელი სამუშაოები:

- ტერიტორიების გაწმენდა-გასუფთავება;
- დაჭაობებული ადგილების ლიკვიდაცია;
- მისასვლელი ავტოგზების მოწყობა;
- სამშენებლო ბაზირების მოწყობა;

II ეტაპი – დროებითი ენერგო უზრუნველყოფა და საინჟინრო მომსახურება:

- სამშენებლო მოედნებზე დროებითი გზების მოწყობა (ემთხვევა საპროექტო გზების განლაგებას);
  - დროებითი ელმომარაგების მაღალი და დაბალი სპაერო და კაბელური ქსელების მოწყობა;
  - სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების და საყოფაცხოვრებო-სამეურნეო და სანიაღვრე კანალიზაციის ქსელების მოწყობა;
  - შრომის დაცვის და უსაფრთხოების ტექნიკის ღონისძიებების შესრულება;
  - ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება
- III ეტაპი – პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები.
- IV ეტაპი – ტერიტორიების კეთილმოწყობა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი,

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

რ. წულაია



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო**  
**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

**განკარგულება N149**

**ქ. ხობი**

**2010 წლის 25 თებერვალი**

**საკრებულოს წევრის - კახა მიქაბერიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და „ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად:

1. ცნობად იქნეს მიღებული საკრებულოს წევრის კახა მიქაბერიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა, მისი სოფელ ქარიატაში ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებულად დანიშვნის გამო.

2. „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლობის წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2006 წლის 13 ნოემბრის N38/2006 დადგენილების პირველი მუხლის თანახმად, ეცნობოს N66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიას საკრებულოს წევრის კახა მიქაბერიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. N192).

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო**  
**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

**განკარგულება N150**

**ქ. ხოზი**

**2010 წლის 25 თებერვალი**

**„იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის  
დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 13 ნოემბრის N13  
განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 44-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 13 ნოემბრის N13 განკარგულებით დამტკიცებული კომისიის შემადგენლობიდან გამოყვანილ იქნეს კახა მიქაბერიძე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად, ხოზის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხოზი. ცოტნე დადიანის ქ. N192).

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო**  
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

**განკარგულება N151**

**ქ. ხობი**

**2010 წლის 25 თებერვალი**

**„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N78 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს 2010 წლის 4 თებერვლის N14/01-08/29 წერილის საფუძველზე „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N78 განკარგულებით დამტკიცებულ კომისიის შემადგენლობაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კომისიიდან წევრობიდან გამოყვანილ იქნეს ფლორა მილორავა - საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს უფროსი სპეციალისტი ხობის რაიონში.

2. კომისიის წევრად შეყვანილ იქნეს რუსუდან ბაჩილავა - საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს უფროსი სპეციალისტი.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხობი ცოტნე დადიანის ქ. N192).

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო**  
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

**განკარგულება N152**

**ქ. ხობი**

**2010 წლის 25 თებერვალი**

**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის სამუშაო გეგმა თანახმად დანართისა.
2. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებს და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას განსახილველი საკითხების მომზადება სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიას.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხობის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. N192).

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის სამუშაო გეგმა**

№	მოსამზადებელი და განსახილველი საკითხის დასახელება	განხილვის ვადა	პასუხისმგებელი შესრულებაზე (საკითხის მომზადებაზე)
1	2	3	4
1.	გამგეობის მიერ 2009 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა	I კვარტალი	საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისია; (გამგეობა)
2.	საკრებულოს დაფუძნებული იურიდიული პირების მიერ 2009 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა	I კვარტალი	საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისია; (შესაბამისი იურიდიული პირი)
3.	საკრებულოს კომისიების მიერ 2009 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა	I კვარტალი	საკრებულოს შესაბამისი კომისია
4.	საკრებულოს მიერ 2009 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა	I კვარტალი	საკრებულოს თავმჯდომარე
5.	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენა	I კვარტალი	საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისია
6.	ხობის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება	I კვარტალი	საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისია; (გამგეობა)
7.	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების სახელდება და მათთვის ნუმერაციის მინიჭება	II კვარტალი	საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისია; (გამგეობა)
8.	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეკრებების, მიტინგების, დემონსტრაციების მარეგულირებელი ნორმების დადგენა	II კვარტალი	საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია
9.	გარე რეკლამის მარეგულირებელი ნორმების დადგენა	II კვარტალი	საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისია; (გამგეობა)
10.	თვითმმართველი ერთეულის სიმბოლიკის დადგენა	II კვარტალი	საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია
11.	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ზოგადი წესის დადგენა	III კვარტალი	საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისია; საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია
12.	გამგეობის მიერ 6 თვის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა	III კვარტალი	საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისია; (გამგეობა)

1	2	3	4
13.	საკრებულოს კომისიების მიერ 6 თვის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა	III კვარტალი	საკრებულოს შესაბამისი კომისია
14.	საკრებულოს დაფუძნებული იურიდიული პირების მიერ 6 თვის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა	III კვარტალი	საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისია; (შესაბამისი იურიდიული პირი)
15.	ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცება	IV კვარტალი	საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისია; (გამგეობა)
16.	სხვა მიმდინარე და ინიცირების წესით შემოსული საკითხების განხილვა	სისტემატურად; დადგენილ ვადებში	საკრებულოს შესაბამისი კომისია

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

